09 09/15 № 07-13/1708

№

თბილისის არქიტექტურა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარეს, ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადებულ #1673 კონკურსთან დაკავშირებით, გიგზავნით საკონკურსო კომისიის 20.08.2015წ. #3 და 24.08.2015წ. #4 სხდომის ოქმებსა და საკონკურსო კომისიის წევრის 24.08.2015წ. ხელწერილს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის თაობაზე.

გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნება.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი *ოთარ ნემსაძე*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N3

(დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით)

20.08.2015წ.

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ: დიმიტრი ქუმსიშვილი, ნინო ღოღობერიძე, ოთარ ნემსაძე, იოსებ ვარდოშვილი, ბიძინა გიორგობიანი, კახა ფოცხიშვილი, დავით აბულაძე, ვლადიმერ ცინცაძე, დიმიტრი მოსულიშვილი, ნიკოლოზ აბაშიძე, გიორგი სალუქვაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: დავით ნარმანია, გიორგი ალიბეგაშვილი, გიორგი ტყემალაძე, გოჩა ბაბუნაშვილი, გიორგი გურგენიძე, ლევან ბერიძე, მიხეილ ჯანელიძე, ცირა ელისაშვილი, ზვიად ბატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი ქუმსიშვილი
სხდომის მდივანი: თამთა ლომიძე

სხდომის დღის წესრიგი:
- N6 და N7 კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დეტალური გაცნობა;
- საკონკურსო კომისიის დამატებითი სხდომების დანიშვნის საკითხი;
- საკონკურსო წინადადებების საჯარო მოსმენის გამართვის საკითხი.

1. <u>განიხილება კანდიდატი N6–ისა და კანდიდატი N7–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.</u>

საკონკურსო კომისიის მიერ, განხორციელდა კანდიდატი N6–ისა (შპს „ანი - არქიტექტორები“, პავლე ძინძიბაძე, ზაქარია ქურდიანი და სხვები) და კანდიდატი N7–ის (შპს „გეოგრაფიკი“, KCAP, Burohappold Engineering, Studia 21, გიორგი გოცირიძე, პავლე ძიძიგური და სხვები) მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დეტალური გაცნობა.

2. <u>განიხილება საკონკურსო კომისიის დამატებითი სხდომების დანიშვნის საკითხი.</u>

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, საკონკურსო კომისიის შემდგომი სხდომა გაიმართება 2015 წლის 24 აგვისტოს, 14:00 საათზე.

3. <u>განიხილება საკონკურსო წინადადებების საჯარო მოსმენის გამართვის საკითხი.</u>

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსის საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროა გაიმართოს საკონკურსო წინადადებების საჯარო მოსმენა.

საკონკურსო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ეთხოვოს სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, ორგანიზება გაუწიოს კანიდატების N3 (შპს „არტსტუდიო პროექტი“, Metrogramma, Mobility in Chain, Aecom, გიორგი სულაბერიძე და სხვები), N6 (შპს „ანი - არქიტექტორები“, პავლე ძინძიბაძე, ზაქარია ქურდიანი და სხვები), N7 (შპს „გეოგრაფიკი“, KCAP, Burohappold Engineering, Studia 21, გიორგი გოცირიძე, პავლე ძიძიგური და სხვები), N8 (კომპანია „SCP Consultants Pte Ltd. Singapore“, გიორგი გიორგაძე და სხვები), N9 (შპს „reicher haase associierte“, შპს „ლზკ“, ზურაბ ბაქრაძე და სხვები), N11 (შპს „თბილისი ჯგუფი", ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“, Albert Speer & Partner GmbH (AS&P), ნიკოლოზ ჭეიშვილი, მამუკა სალუქვაძე და სხვები) მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების საჯარო მოსმენის გამართვას.

დიმიტრი ქუმსიშვილი		დავით აბულაძე	
ნინო ღოღობერიძე		ვლადიმერ ცინცაძე	
ოთარ ნემსაძე		დიმიტრი მოსულიშვილი	
იოსებ ვარდოშვილი		ნიკოლოზ აბაშიძე	
ბიძინა გიორგობიანი		გიორგი სალუქვაძე	
კახა ფოცხიშვილი		თამთა ლომიძე	

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N4

(დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით)

24.08.2015წ.

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ: დიმიტრი ქუმსიშვილი, ოთარ ნემსაძე, ლევან ძაგნიძე, იოსებ ვარდოშვილი, ბიძინა გიორგობიანი, გიორგი გურგენიძე, კახა ფოცხიშვილი, დავით აბულაძე, ვლადიმერ ცინცაძე, ნიკოლოზ აბაშიძე, გიორგი სალუქვაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: დავით ნარმანია, გიორგი ალიბეგაშვილი, გიორგი ტყემალაძე, გოჩა ბაბუნაშვილი, ლევან ბერიძე, დიმიტრი მოსულიშვილი, მიხეილ ჯანელიძე, ცირა ელისაშვილი, ზვიად ბატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი ქუმსიშვილი
სხდომის მდივანი: თამთა ლომიძე

სხდომის დღის წესრიგი:
- N3, N9 და N11 კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დეტალური გაცნობა;
- საორგანიზაციო საკითხები;
- დამატებითი საკითხები;

1. <u>განიხილება კანდიდატი N3, N9 და N11–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.</u>

საკონკურსო კომისიის მიერ, განხორციელდა კანდიდატი N3–ის (შპს „არტსტუდიო პროექტი“, Metrogramma, Mobility in Chain, Aecom, გიორგი სულაბერიძე და სხვები), N9–ისა (შპს „reicher haase associierte“, შპს „ლზკ“, ზურაბ ბაქრაძე და სხვები) და N11–ის (შპს „თბილისი ჯგუფი", ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“, Albert Speer & Partner GmbH (AS&P), ნიკოლოზ ჭეიშვილი, მამუკა სალუქვაძე და სხვები) მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დეტალური გაცნობა.

2. <u>განიხილება საორგანიზაციო საკითხები ;</u>

საკონკურსო კომისიის მიერ, 13.08.2015წ. მიღებული გადაწყვეტილების (ოქმი N1) თანახმად, საკონკურსო კომისიის მუშაობის გრაფიკში გათვალისწინებული იყო სხდომების გამართვა 2015 წლის 30 და 31 აგვისტოს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილია, შევიდეს ცვლილება აღნიშნულ სამუშაო გრაფიკში და 2015 წლის 30 და 31 აგვისტოს ნაცვლად სხდომები გაიმართოს სექტემბრის თვეში.

3. <u>განიხილება დამატებითი საკითხები.</u>

საკონკურსო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დაევალოს სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს კანდიდატებს N1–ს (აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტთან არსებული „ადამიანის საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი სივრცის ფორმირების“ საპროექტო, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, ნანი მეფარიშვილი, გიორგი ბათიაშვილი, მერაბ ჩხენკელი და სხვები), N2 („Arte Charpentier Architectes“, VINCI, მარინა ეგუტია და სხვები), N4–ს (გიორგი წივწივაძე), N5–ს (შპს „Treehouse“, ლერი გოშაძე და სხვები) და N10–ს (შპს „არკო 04“, ი. ტვილდიანი, დ. გუნცაძე, ი. ესიტაშვილი და სხვები) წერილობით აცნობოს საკონკურსო კომისიის მიერ 13.08.2015წ. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (ოქმი N1).

დიმიტრი ქუმსიშვილი	_____	კახა ფოცხიშვილი	_____
ოთარ ნემსაძე	_____	დავით აბულაძე	_____
ლევან ძაგნიძე	_____	ვლადიმერ ცინცაძე	_____
იოსებ ვარდოშვილი	_____	ნიკოლოზ აბაშიძე	_____
ბიძინა გიორგობიანი	_____	გიორგი სალუქვაძე	_____
გიორგი გურგენიძე	_____	თამთა ლომიძე	_____

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

24 აგვისტო, 2015 წელი

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2015წ. N250 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრი, ლევან ძაგნიძე, ვადასტურებ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი: 1673) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და კონკურსში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

საკონკურსო კომისიის წევრი: ლევან ძაგნიძე